

საქართველო XVI-XVIII
საუკუნეების ნიდერლანდურ
რუკებსა და გრავიურებზე

Georgia on the Dutch
Maps and Gravures of
the XVI-XVIII centuries





საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე Georgia on Dutch maps and engravings of the XVI-XVIII centuries

კატალოგი მომზადდა ა(ა)იპ ღია სივრცე კავკასიის პროექტის „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრავიურებზე: „დაკავშირებულობის“ ისტორია“, თარგმანებში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს თინანსური მხარდაჭერით და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს საელჩოს ოფიციალურ პოლიტიკას ან შეხედულებებს.

ავტორი: სულხან სალძე

პასუხისმგებელი პირები: ირმა პავლიაშვილი, თეონა მაჭარაშვილი

დიზანი/დაკაბადონება: მარიამ მუთიძე

თბილისი 2022

© აკრძალულია კატალოგში მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება და გავრცელება კომერციული მიზნით „ღია სივრცე კავკასიის“ (COS) თანხმობის გარეშე.

The catalogue was developed by Caucasus Open Space (COS) within the project: "Georgia on the XVI-XVIII Century Dutch Maps and Gravures: Connectivity History" with the support by the Embassy of the Kingdom of the Netherlands in Georgia. All opinions expressed in the catalogue may not reflect official policy or views of the Embassy.

Author: Sul Khan Saladze

Responsible persons: Irma Pavliashvili, Teona Macharashvili

Design: Mariam Mutidze

Tbilisi 2022

© It is prohibited to reprint, copy or distribute the catalogue or its parts for commercial purposes without express written consent by the Caucasus Open Space (COS).



2022 წელს აღვნიშნავთ საქართველოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების 30 წლისთავს. გამოფენა „საქართველო XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდურ რუკებსა და გრაფიურებზე“, სადაც სულხან სალაძის პირად კოლექციაში დაცული ექსპონატებია წარმოდგენილი, სწორედ ამ თარიღს ეძღვნება და საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს მიერაა მხარდაჭერილი. გამოფენა, „ღია სივრცე კავკასიის“ ორგანიზებით, მოენწყობა ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისსა და თბილისში (2023 წელს). გამოფენაზე წარმოდგენილია ამსტერდამში, ლეიდენსა და სხვა ქალაქებში გამოცემული 26 რუკა და გრაფიურა. ეს რუკები გვიჩვენებს, რომ ჯერ კიდევ წინა საუკუნეებში, შავი ზღვის გაღმა-გამოღმა მდებარე ევროპის და აზიის ქვეყნები, ახალ მარშრუტებსა და კავშირებს ეძიებდნენ. ეს საკითხი დღემდე აქტუალურია. სწორედ ამიტომ, მოხარული ვარ, რომ საშუალება გვქვია, გავეცნოთ ამ ძველ რუკებს, შევიტყოთ მეტი იმაზე, თუ როგორ ხედავდნენ ჩვენი წინაპრები მსოფლიოს და ეს ინფორმაცია თანამედროვე სამყაროში გადმოვიტანოთ.

ყველა მნახველს ვუსურვებ საინტერესო გამოცდილების მიღებას და ასევე მოუთმენლად ველი გამოფენას მომავალ წელს თბილისში.

მააიკე ვან კოლდამი
ნიდერლანდების სამეფოს ელჩი საქართველოში

This year, 2022, we mark the 30th anniversary of the establishment of diplomatic relations between Georgia and the Kingdom of the Netherlands. The exhibition "Georgia on Dutch maps and engravings of the XVI-XVIII centuries" from the private collection of Sul Khan Saladze is dedicated to this date and is supported by the Netherlands embassy in Georgia. The exhibition will be held in Batumi, Zugdidi, Kutaisi and Tbilisi (in 2023), organized by Caucasus Open Space. The exhibition features 26 maps and engravings published in Amsterdam, Leiden and other cities. The maps illustrate that already in previous centuries, countries across the Black Sea, from Europe to Asia, were exploring new routes and looking for connectivity. This remains relevant to this day. I am therefore happy that we have the opportunity to get acquainted with these old maps, learn more about the views on the world of our ancestors and translate what we learn to the world of today.

I wish all viewers an interesting experience and look forward to also welcoming the exhibition in Tbilisi next year.

Maaïke van Koldam
Ambassador of the Kingdom of the Netherlands to Georgia

ნიდერლანდური კარტოგრაფიის ოქროს საუკუნე და საქართველო
Golden Age of the Dutch Cartography and Georgia



XVI საუკუნის მეორე ნახევარი ნიდერლანდური კარტოგრაფიის ოქროს საუკუნის დასაწყისად მიიჩნევა. ამ პერიოდიდან, იტალიელ კარტოგრაფებს ნიდერლანდელებისა და ფლანდრიელების სახით, სერიოზული მეტოქეები გამოუჩნდნენ. ისინი, ძირითადად, თანამედროვე ნიდერლანდების და ბელგიის ქალაქებში ცხოვრობდნენ. ოქროს საუკუნის დასაწყისი უკავშირდება ფლანდრიელი კარტოგრაფების, გერარდ მერკატორის მიერ 1569 წელს, მსოფლიო რუკის შექმნას და აბრაჰამ ორტელიუსის მიერ, 1570 წელს, მსოფლიოს პირველი სისტემატიზებული ატლასის გამოცემას. მნიშვნელოვანი რუკები შეიქმნა შემდეგ წლებში ამსტერდამში, ლუისბურგში, კელნში, ლეიდენში და სხვა ქალაქებში. ამსტერდამი გადაიქცა კარტოგრაფიის უდიდეს ცენტრად ევროპაში. აქ რუკებისა თუ სხვა გეოგრაფიული ატლასების შექმნა და გამოცემა არა ცალკეული კარტოგრაფის ან გამომცემლის საქმიანობა, არამედ, მნიშვნელოვანი საგვარეულო ბიზნესი იყო. საკმარისია მერკატორების, დე ჯოდების, ჰონდიუსების, ბლაუების, ვიშერების, იანსონების და დანკერტსების გვარების დასახელება.

ამსტერდამში საუკეთესო ევროპული რუკების ბეჭდვა არც მას შემდეგ დასრულებულა, რაც ნიდერლანდებმა XVIII საუკუნის დასაწყისიდან კარტოგრაფიაში პირველობა ევროპის სხვა ქვეყნებს დაუთმო. არაერთი თრანგი კარტოგრაფის და მოგზაურის გახსენება შეიძლება, ვის მიერაც XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში შექმნილი საუკეთესო რუკები თუ გრაფიურები, პარიზის პარალელურად, წარმატებით იბეჭდებოდა ამსტერდამში არსებულ უდიდეს საგამომცემლო სახლში.

ამ გამოფენის მიზანია საუკუნეების განმავლობაში ნიდერლანდებში შექმნილი იმ რუკებისა და გრაფიურების თავმოყრა, რომლებიც უკავშირდებიან საქართველოს. მათი ნაწილი საქართველოსთან ან მის რომელიმე მხარესთანაა პირდაპირ მიმართებაში, ნაწილი კი, საქართველოს ასახავს კონტინენტების, კავკასიის რეგიონის, იმპერიებისა ან ბიბლიური თემატიკის რუკებზე. გამოფენაზე, ასევე, თრანგი და გერმანელი კარტოგრაფებისა და გამომცემლების რუკები და გრაფიურებიცაა წარმოდგენილი, თუმცა, უმეტეს შემთხვევაში, მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ამსტერდამს უკავშირდება და გამოცემებიც იქვეა დაბეჭდილი.

გამოფენაზე წარმოდგენილია საქართველოს და მასთან დაკავშირებული ცნობების ამსახველი, 6 თემატური და გეოგრაფიული კატეგორიის, 26 რუკა და გრაფიურა:

- ევროპის და აზიის 8 რუკა;
- იმპერიების 6 რუკა;
- შავი ზღვის 2 რუკა;
- საქართველოს და კავკასიის 3 რუკა;
- ბიბლიური და ისტორიული თემატიკის 2 რუკა;
- საქართველოს და ქართველების ამსახველი 5 გრაფიურა.

Amsterdam remained at the heart of European map-making even after the end of XVII century and beginning of the XVIII century, when other European cities emerged as powerful competitors in cartography; some of the best maps and gravures were being printed in Paris, by a number of French cartographers and travelers, parallel to their peers in Amsterdam's largest publishing houses.

This exhibition aims to gather the maps and gravures about Georgia, which were created throughout the centuries in the Netherlands or by Dutch cartographers. Some of the maps reflect Georgia directly, others depict Georgia as part of a continent, Caucasus region, or of different empires and biblical maps. The exhibition also includes the maps and gravures of French and German cartographers and publishers, however, in most cases, substantial parts of their lives were related to the Netherlands and its publishing houses.

The exhibition covers 26 maps and gravures grouped by six major topics, related to Georgia:

- 8 maps of Europe and Asia;
- 6 maps of empires;
- 2 maps of the Black Sea;
- 3 maps of Georgia and the Caucasus;
- 2 maps of biblical and historic genres;
- 5 gravures depicting Georgia and/or Georgians.

16 maps and gravures are dated by XVIII century, 6 maps – XVII century and 4 – XVI century. Their largest share is published in Amsterdam, including the maps and gravures that were created in other European cities, but published in Amsterdam at the same time.

The geography of the 26 maps and gravures spans three contemporary states: the Netherlands, Belgium and Germany, and includes 6 cities: 17 items from Amsterdam, 3 from Leiden, 3 from Antwerp, 1 from Rotterdam, 1 from Duisburg and 1 from Cologne.

Naturally, it is impossible to collect all of the Dutch maps about/or containing information about Georgia. However, the maps and gravures presented in the exhibition offer substantial information about the perspectives and knowledge of Dutch cartographers about Georgia. Despite some of the mistakes in locating the cities or rivers on the maps, as well as some misspellings of the names of locations, those materials contain important historic knowledge.

16 რუკა და გრაფიურა თარიღდება XVIII საუკუნით, 6 რუკა - XVII, ხოლო 4 მათგანი - XVI საუკუნით. მათი დიდი ნაწილი ამსტერდამშია გამოცემული, მათ შორის, ის რუკები და გრაფიურები, რომლებიც ევროპის სხვა ქვეყნებში შეიქმნა, თუმცა გამოცემის ადგილი, სხვა ქალაქებთან ერთად, ამსტერდამიც იყო.

26 რუკისა და გრაფიურის გეოგრაფია, თანამედროვე ევროპის სამი სახელმწიფოს: ნიდერლანდების, ბელგიის და გერმანიის 6 ქალაქს მოიცავს და შემდეგნაირად ნაწილდება: ამსტერდამი - 17, ლეიდენი - 3, ანტვერპენი - 3, როტერდამი - 1, დუისბურგი -1, კელნი-1. ცხადია, საქართველოს ან მასთან დაკავშირებული ცნობების ამსახველი ყველა ნიდერლანდური რუკის შეკრება თითქმის შეუძლებელია, თუმცა გამოთენაზე წარმოდგენილი რუკები და გრაფიურები საკმარის ინფორმაციას გვანვლიან იმის შესახებ, თუ როგორ ხედავდნენ ან რა იცოდნენ საქართველოზე მისგან ათასობით კილომეტრის დაშორებით მოღვაწე კარტოგრაფებმა. მიუხედავად იმისა, რომ რიგ შემთხვევებში რუკებზე დატანილი ქალაქების თუ მდინარეების ლოკალიზება მცდარია, ზოგან კი სახელწოდებებია არასწორად აღნიშნული, ისინი მნიშვნელოვან ისტორიულ დატვირთვას ატარებენ.

გამოთენაზე წარმოდგენილია სამი რუკა, რომელთა ავტორებს ნიდერლანდური კარტოგრაფიის ოქროს საუკუნის დასაწყისი უკავშირდება. კერძოდ, ფლანდრიელი კარტოგრაფების, გერარდ მერკატორის 1578 წლით დათარიღებული „ASIAE III TAB:“ (აზია III ტაბულა) და აბრაჰამ ორტელიუსის ორი რუკა: 1590 წლის „Pontus Evxinv“ (სტუმართმოყვარე ზღვა) და 1624 წელს გამოცემული „Lumen Historiarum per Orientem (ისტორიის შუქი აღმოსავლეთში). ორივე ავტორი არამარტო ნიდერლანდური, არამედ მსოფლიო კარტოგრაფიის ლეგენდებად მიიჩნევიან.

ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე საქართველო ბევრ რუკაზეა ასახული. ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობის განსაკუთრებულობად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საქართველო წარმოდგენილია როგორც აზიის, ისე ევროპის რუკებზე. ევროპის რუკებზე საქართველოსთან დაკავშირებული აღნიშვნები ყოველთვის მარჯვენა ქვედა კუთხეშია მოთავსებული, ხოლო აზიის რუკებზე, პირიქით - მარცხენა კუთხეში. მაგ.: 1592 წელს, კელნში, ნიდერლანდელ კარტოგრაფ მათიას ქუადის მიერ გამოცემული „Evropa“ (ევროპა).

საუკუნეების განმავლობაში ნიდერლანდელი კარტოგრაფები რუკებზე წარმატებით უხამებდნენ ერთმანეთს ცნობებს ძველი ბიბლიური, ანტიკური და მათი თანადროული სამყაროს შესახებ. მაგ.: 1704 წელს, როტერდამში გამოცემულ დანიელ სტოპენდალის ცნობილ რუკაზე, სადაც მთავარი ფოკუსი პავლე მოციქულის მოგზაურობას უკავშირდება, რუკის მარჯვენა ზედა კუთხეში წარმოდგენილია ცნობები უძველესი ქართული სახელმწიფოების - კოლხეთისა და იბერიის შესახებ. ოღონდ, იმ განსხვავებით, რომ ძველი კოლხეთისა და იბერიის გვერდით აღნიშნულია აფხაზეთში, თანამედროვე გაგრის მახლობლად არსებული, გენუელების სავაჭრო ფაქტორია - S. Sopia (სანტა სოფია).

The exhibition includes three maps, authored during the beginning of the Golden Age of the Dutch cartography. For example, the maps by Flemish cartographers: “ASIAE III TAB:” created in 1578 by Gerard Mercator and two maps by Abraham Ortelius: “Pontus Evxinv” (“hospitable sea”) published in 1590 and “Lumen Historiarum per Orientem” (“light of history in the East”) published in 1624. Both authors are considered to be the legends of not only Dutch, but also world cartography.

Georgia, located at the crossroads of Europe and Asia, is depicted on many maps. The peculiarity of Georgia’s geographic location is reflected in the fact that the country is depicted on the maps of both Asia, as well as Europe. On the European maps, the markings about Georgia are reflected in right lower corner, while on the maps of Asia, on the contrary – in the left corner; for example, on the map “Evropa” (“Europe”), published in 1592 in Cologne, by Dutch cartographer Matthias Quad.

For centuries, Dutch cartographers successfully combined information from old biblical, antique as well as contemporary sources, for example, on the famous map published in 1704 Rotterdam by Daniel Stoopendaal, the focus is on the travels of the apostle Paul. The upper right corner of the map provides information about the ancient Georgian kingdoms of Kolkheti (Colchis) and Iberia, with one difference – in Abkhazia, nearby contemporary Gagra, there is indication S. Sopia (Santa Sophia) – the Genoese trade port.

The exhibition also depicts the maps, where cartographers indicate local names of the Black Sea, related to Kolkheti/Colchis kingdom – such as “Kolkheti/Colchis Sea” or “Phasis Sea”. Such names are indicated on both maps of Abraham Ortelius and the map published in 1652 Amsterdam, by Nicolaus Blankaart and Johannes Janssonius. This indicates the particular role of the Black Sea in the life of old Kolkheti/Colchis, as well as the reaffirmation that historically, the Black Sea connected, rather than divided Georgia with Europe. The Black Sea offers tremendous opportunities for Georgia and materializing this opportunity, considering current geopolitical situation, is becoming increasingly important.

The maps, themed around the golden fleece, continue the topic of old Kolkheti/Colchis. For example, the map by Henri Abraham Chatelain, published in 1719 Amsterdam, depicting the route of the Argonaut boat, heading towards Kolkheti/Colchis.

გამოფენაზე წარმოდგენილია რუკები, რომლებზეც ძველი კოლხეთის აღწერისას კარტოგრაფები უთითებენ შავი ზღვის ლოკალურ, კოლხეთის სამეფოსთან დაკავშირებულ ისეთ სახელწოდებებს, როგორებიცაა „კოლხეთის“ ან „ფაზისის“ ზღვა. ამგვარი აღნიშვნები არის აბრაჰამ ორტელიუსის ორივე რუკაზე და 1652 წელს, ნიკოლას ბლანკარტის და იოჰანეს იანსონიუსის მიერ ამსტერდამში გამოცემულ რუკაზე. ეს ფაქტი ძველი კოლხეთის ცხოვრებაში შავი ზღვის განსაკუთრებულ როლზე უნდა მიანიშნებდეს და მორიგ დადასტურებად მივიჩნიოთ იმისა, რომ ისტორიულად შავი ზღვა კი არ ჰყოფს საქართველოს ევროპისგან, არამედ აკავშირებს მასთან. შავი ზღვა საქართველოსთვის უდიდესი შესაძლებლობების სივრცეა და მისი ეფექტურად გამოყენება, ახალი გეოპოლიტიკური ვითარების გათვალისწინებით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება.

ძველი კოლხეთის თემის გაგრძელებაა რუკები, რომლებზეც ოქროს საწმისის თემას ვხვდებით. ამ მხრივ, შეიძლება გავხსენოთ ანრი აბრამ შატლენის მიერ, 1719 წელს ამსტერდამში გამოცემული რუკა, სადაც კოლხეთისკენ მიმავალი არგონავტების ნავის საზღვაო მარშრუტია დატანილი.

ძველი ნიდერლანდური რუკები ერთ-ერთი საუკეთესო წყაროა იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ხედავდნენ ორი დიდი იმპერიის - ოსმალეთის და სპარსეთის - ინტერესებს შორის მოქცეულ საქართველოს ევროპელები. ხშირად სწორედ ამ იმპერიების ინტერესების გადაკვეთას და გავლენის სფეროებს უკავშირდება დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა ფერში გამოსახვა. ისევე, როგორც რუკაზე გამყოფი ხაზების დატანება. თუმცა, იმპერიების რუკებზეც კი, სამეფო-სამთავროებად დაშლილი საქართველოს აღსანიშნავად, კარტოგრაფები, ერთიან სახელწოდებას - „GEORGIA“-ს იყენებენ, რაც მთელი ქვეყნის ტერიტორიას ფარავს. ეს გარემოება მიუთითებს საქართველოს სამეფო-სამთავროების ერთიანი სივრცის, ქვეყნის და კულტურის ნაწილად აღქმაზე. ამ მხრივ, გამოფენაზე წარმოდგენილი ორი რუკის დასახელებაც საკმარისია: იუსტუს დანკერტსის მიერ 1688 წელს ამსტერდამში და პიტერ ვან დერ აას მიერ 1713 წელს ლეიდენში დაბეჭდილი რუკები. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუკებიდან საქართველოს აღსანიშნავად „GEORGIA“-ს გაქრობის ტენდენცია, ბევრად გვიანდელი, XIX საუკუნის მოვლენაა და რუსეთის იმპერიას უკავშირდება. საქართველოს სამეფო-სამთავროების ანექსიის შემდეგ, იმპერიამ „GEORGIA“ თბილისის და ქუთაისის გუბერნიებით ჩაანაცვლა.

ცალკე უნდა ითქვას, 1732 წელს ამსტერდამში არსებულ უდიდეს „Covens & Mortier“ -ის საგამომცემლო სახლში დაბეჭდილ „Carte Des Pays Voisins De La Mer Caspienne“-ს (კასპიის ზღვის მეზობელი ქვეყნების რუკა) შესახებ, რომლის შექმნაში მონაწილეობა აქვს მიღებული ქართველ დიპლომატ და მოგზაურ სულხან-საბა ორბელიანს. რუკაზე სულხან-საბას აღნიშვნას მარჯვენა ზედა კუთხეში ვხვდებით: Sofkam Sabas Prince de Georgie (სულხან საბა, ქართველი თავადი). მართალია, ამ შემთხვევაში, რუკის ავტორი ფრანგი სამეფო კარტოგრაფი გიომ დელილია და რუკაც პირველად 1723 წელს პარიზში დაიბეჭდა, მაგრამ ამსტერდამულ გამოცემაში სულხან საბას დამსახურება უცვლელად არის გადატანილი. თუ გავითვალისწინებთ, რამდენად დიდი კარტოგრაფი იყო გიომ დელილი, ხოლო ამსტერდამში არსებული გამომცემლობა „Covens & Mortier“ რა მაშტაბის საგამომცემლო სახლს წარმოადგენდა,

Old Dutch maps are one of the best sources to illustrate how Europeans saw Georgia, sandwiched between the interests of the two great empires – the Ottoman and the Persian. Often, the West and East Georgia is colored in different hues on the maps, or otherwise lined to reflect the overlap of those interests. However, even the maps of the empires, where Georgia is divided into small kingdoms, cartographers use unifying name “GEORGIA”, referring to entire territory. Such approach of old cartographers reflects perception of Georgian kingdoms as one unity, one country and common cultural space. Two maps of the exhibition illustrate this well: the map by Justus Danckerts, printed in 1688 Amsterdam and the map by Pieter van der Aa printed in 1713 Leiden. It must also be emphasized that the tendency of removing the name “GEORGIA” from the maps emerged much later, from the XIX century, as a phenomena related to the Russian empire. Following the annexation of the Georgia’s kingdoms, the name “GEORGIA” was substituted by “Tiflisskaya and Kuttaisskaia gubernya/governorships of Tbilisi and Kutaisi”.

The map of the Caspian Sea neighborhood - “Carte Des Pays Voisins De La Mer Caspienne”, published in 1732 Amsterdam, by one of the greatest publishing houses “Covens & Mortier” deserves a special attention: Georgian diplomat and traveler Sulokhan-Saba Orbeliani participated in its making. The upper right side of the map reads: Sofkam Sabas Prince de Georgie (Sulokhan Saba, Georgian Lord). Although, in this case, the author of the map is the French cartographer Guillaume Delisle, and the first publication of the map was made in 1723 Paris, but the Amsterdam publication reflects the work of Sulokhan Saba with a high precision. Considering the greatness of reputation attributed to the cartographer Guillaume Delisle and the Amsterdam-based publishing house “Covens & Mortier” it is easy to imagine the scale of distribution of the information about Georgian diplomat and traveler, for people interested in cartography and the world.

The history of XVI-XVIII Dutch and overall, European cartography demonstrates that unlike the maps of Georgia or Caucasus, the maps of Georgia’s separate units or regions is rare. From this perspective, there is a pleasant exception - namely, the map of Samegrelo, printed in Leiden, in 1713 by Pieter van der Aa. The original version of the map is connected to the Catholic missionaries in the XVII Georgia – Cristoforo de Castelli and Arcangelo Lamberti. However, the Leiden publication is distinguished with the decorative elements, characteristic for Pieter van der Aa. The exhibition features the colored version of this map.

Along with the maps, the exhibition will present the gravures related to Georgia, printed in XVII-XVIII centuries in Amsterdam and Antwerp, including the distinguished gravure of the oldest sketch of Tbilisi, first created in 1673 during travels of Jean-Chardin, printed in Antwerp in 1687. Another distinguished gravure included in the exhibition depicts Tbilisian women, printed in 1737 in Amsterdam, sketched by French artist, Claude Aubriet.

იოლი წარმოსადგენია, კარტოგრაფიის და ზოგადად მსოფლიოს შესწავლით დაინტერესებული რამდენი ადამიანი გაიგებდა ქართველი დიპლომატის და მოგზაურის შესახებ.

XVI-XVIII საუკუნეების ნიდერლანდური და მთლიანად ევროპული კარტოგრაფიის ისტორია მოწმობს, რომ განსხვავებით საქართველოს ან კავკასიის თემატიკაზე მომზადებული რუკებისგან, იშვიათობას წარმოადგენს საქართველოს ცალკეული სამეფო-სამთავროების და რეგიონების რუკები. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია, ლეიდენში, 1713 წელს პიტერ ვან დერ აას მიერ გამოცემული სამეგრელოს რუკა. ამ რუკის თავადაპირველი ვერსია, XVII საუკუნეში საქართველოში მოღვაწე კათოლიკე მისიონერების - კრისტოფორო კასტელის და არქანჯელო ლამბერტის სახელს უკავშირდება. თუმცა, ლეიდენური გამოცემა ვან დერ აასთვის დამახასიათებელი გაფორმებებით გამოირჩევა. გამოფენაზე წარმოდგენილია რუკის ფერადი ვერსია.

რუკებთან ერთად, გამოფენაზე ნახავთ XVII-XVIII საუკუნეებში, ამსტერდამსა და ანტვერპენში დაბეჭდილ საქართველოსთან დაკავშირებულ გრაფიურებს. აუცილებლად უნდა ვახსენოთ, 1687 წელს, ანტვერპენში დაბეჭდილი თბილისის უძველესი ჩანახატის გრაფიურა, რომელიც 1673 წელს, ფრანგ მოგზაურ ჟან შარდენის საქართველოში ყოფნის დროს შეიქმნა და 1737 წელს, ამსტერდამში დაბეჭდილი თბილისელი ქალების ჩანახატი, რომლის ავტორია ფრანგი მხატვარი კლოდ ობრიე.





რუკები და გრავიურები
Maps and Gravures



გერარდ მერკატორი (1512-1594)

ტაბულა აზია III

დუისბურგი. 1579 წ.

68x59

რუკა მომზადებულია გერარდ მერკატორის მიერ, პტოლემეს გეოგრაფიის საფუძველზე.

ხელით გაფერადებულ რუკაზე დატანილია შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეული ქვეყნები. რუკის ფოკუსი მიმართულია COLCHIS-ის (კოლხეთი), IBERIA-ს (იბერია), ALBANIA-ს (ალბანეთი) და ARMENIA MAIOR-ისკენ (სომხეთი). აღნიშნულია მთავარი ქალაქები, მდინარეები, ტბები, მთები და უღელტეხილები. რუკას თან ერთვის კასპიის ზღვაში ჩახატული რუკის დეკორატიული გაფორმება და შავ ზღვაში დახატული ურჩხული.

რუკაზე კარგად იკითხება ძველი ქართული სამეფოები - კოლხეთი და იბერია. კოლხეთის სამეფოდან PONTI EVXINI PARS-ს (შავი ზღვა) არაერთი მდინარე უერთდება. მათ შორის, Apsorrus flu (ჭოროხი), Phasis flu (რიონი), Hippius flu (ცხენისწყალი), Cianeus flu (ჭანისწყალი), Corax fluuius (კოდორი). რუკაზე ნათლად ჩანს, რომ მდინარე რიონის დინება შეცდომით, სამხრეთიდან - ჩრდილო-დასავლეთით არის მიმართული, მაშინ, როდესაც ის ჩრდილოეთიდან - სამხრეთ-დასავლეთით უნდა მიედინებოდეს.

კარგად იკითხება კოლხური ტომების - Manrali (მეგრელები) და Zani (ჭანების) განსახლების ადგილები.

ციხე-ქალაქებიდან აღნიშნულია: Apsorrus (გონიო), Sebastopolis (სავარაუდოდ, ციხისძირი), Phasis (ფაზისი), Aiapolis (აია), Dioscuria, Sebastopolis (სოხუმი) და სხვ.

კოლხეთის სამეფოდან სამხრეთით, ვერტიკალურად გამოსახულ მთებზე, აღნიშნულია Moschichi montes (მესხეთის მთები), რომელიც სამხრეთ დასავლეთით გრძელდება და Trapezus-თან (ტრაპიზონი) მთავრდება. კოლხეთის სამეფოს ჩრდილოეთიდან, იბერიის მიმართულებით, ჰორიზონტალურად მიუყვება Caucasus mons (კავკასიონის მთები).

იბერიის ნაწილში რუკაზე აღნიშნულია: Zalissa (ძალისა), Armactica (არმაზის ციხე), Mestleta (მცხეთა), Sura (სავარაუდოდ, სურამი), Artanissa (არტანუჯი) და სხვ.

მდინარეებიდან, ასევე, აღნიშნულია Cyrus fluuius (მტკვარი), თუმცა მისი დინება არასწორად, ჩრდილოეთიდან ვერტიკალურად სამხრეთით არის გამოსახული. დინების მცდარი აღნიშვნის გამო, რუკაზე სურამი და არტანუჯი, მცხეთიდან ჩრდილოეთით ექცევა

Gerard Mercator (1512-1594)

Asiae III Tab

Duisburg. 1579

68x59

The map is created by Gerard Mercator, based on Ptolemy's Geography.

The hand-colored map depicts the countries located between the Black and Caspian Seas. The map accentuates Colchis, Iberia, Albania, and Kingdom of Armenia. Major cities, rivers, lakes, mountains, and passes are indicated. The map includes decorative elements in the Caspian Sea, as well as the beast in the area of the Black Sea.

The map depicts Georgian Kingdoms – Colchis and Iberia. Kingdom of Colchis connects to the Ponti Evxini Pars (the Black Sea) through several rivers, among others: Apsorrus flu (contemporary Chorokhi), Phasis flu (Rioni), Hippius flu (Tskhenistskali), Cianeus flu (Chanistskali), Corax fluuius (Kodori). The map mistakenly locates the flow of Rioni river from South through North-West, while, it flows from North towards South-West.


The map also shows the settlements of the Manrali (Megreli) and Zani (Chani) tribes.

Castle-towns indicated on the map include: Apsorrus (Gonio), Sebastopolis (likely, Tsikhidziri), Phasis, Aiapolis (Aya), Dioscuria, Sebastopolis (Sokhumi) and others.

South of Kolkheti/Colchis kingdom, Moschichi montes (Meskhetian mountains) are indicated on vertically drawn mountains, which continue towards South-West ending in Trapezus (Trapzoni). North of Kolkheti/Colchis kingdom, in the direction of Iberia, Caucasus mons (Caucasus Mountains) are stretching horizontally.

The map indicates Zalissa (Dzalisa), Armactica (Armazi Castle), Mestleta (Mtskheta), Sura (likely Surami), Artanissa (Artanuji) and others, in the area of Iberia.

The map also indicates Cyrus fluuius (Mtkvari) river, however, its flow is indicated incorrectly as well – the map indicates the flow from the North to the South vertically, because of which Surami and Artanuji appear to the North of Mtskheta.



Medius meridianus 77, reliqui ad eum inclinati sunt iuxta rationes parallelorum 30.43.

Hic locus id est pars huius mundi dicitur.

Praxel

აბრაჰამ ორტელიუსი (1527-1598)

სტუმართმოყვარე ზღვა

ანტვერპენი. 1590/1620 წწ.

66x57

აბრაჰამ ორტელიუსის შავი ზღვის შესანიშნავი რუკა, პირველად, 1590 წელს დაიბეჭდა ანტვერპენში და მას შემდეგ არაერთხელ გამოიცა XVII საუკუნეებში მოღვაწე ნიდერლანდელი კარტოგრაფების და გამომცემლების მიერ.

ორტელიუსის ეს რუკა, ისევე, როგორც მისი ეპოქის ბევრი სხვა კარტოგრაფის რუკები, მომზადებულია პტოლემეს (Ptolemy) გეოგრაფიის საფუძველზე.

რუკის მთავარი ფოკუსი მიმართულია შავ ზღვაზე, რომელიც აქ მისი ძველი ბერძნული ერთ-ერთი სახელწოდებით - Pontus Euxinus (სტუმართმოყვარე ზღვა) არის წარმოდგენილი. რუკის ცენტრში, შავი ზღვის აღსანიშნავად, ვხვდებით ზღვის კიდევ უფრო ძველ ბერძნულ სახელწოდებასაც - Axenus (არასტუმართმოყვარე).

იმის გათვალისწინებით, რომ რუკის მთავარი ფოკუსი შავ ზღვას უკავშირდება, რუკაზე ზღვის ირგვლივ არსებული ქვეყნები/სამეფოები მხოლოდ ნაწილობრივ, უმეტესად სანაპირო ზოლის გაყოლებაზეა წარმოდგენილი.

საქართველოსთან დაკავშირებული ცნობებიდან, რუკაზე, შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო COLCHIS-ს (კოლხეთი) უჭირავს და შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროს გარდა, იჭრება ჩრდილო აღმოსავლეთის და სამხრეთ დასავლეთის მიმართულებით.

ორტელიუსის ამ რუკაზე, შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ვხვდებით, კოლხური ტომის Heniochi (ჰენიოხები) აღმნიშვნელი წარწერა. ჰენიოხებისგან აღმოსავლეთით იკითხება წარწერა Suani (სვანები). რაც შეეხება რუკის სამხრეთ დასავლეთ ნაწილს, აქ შესაძლებელია კიდევ ერთი კოლხური ტომის - Macrones (მაკრონები) ამოკითხვა. მაკრონებიდან აღმოსავლეთით კი, Moschici montes (მესხეთის მთები) აღნიშვნაა.

აბრაჰამ ორტელიუსი ერთ-ერთი პირველი კარტოგრაფია, ვინც კოლხეთის ნაპირებთან, შავი ზღვის აღსანიშნავად, მისი ლოკალური სახელწოდება - PHASIANVM MARE (ფაზისი ზღვა) გამოიყენა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს აღნიშვნა ძველ კოლხეთში საზღვაო საქმის და ნაოსნობის განვითარების მნიშვნელოვანი დადასტურებაა.

კოლხეთიდან ჩრდილო დასავლეთით, შავი ზღვის კიდევ ერთ ლოკალური სახელწოდებას - CAVCASEVM MARE (კავკასიის ზღვას) ვხვდებით.

სახელწოდება ფაზისის ზღვის გარდა, შავ ზღვაში, კოლხეთის ნაპირებთან სხვა საინტერესო აღნიშვნაცაა. კერძოდ, მითიური კუნძული Aee ins (აია). ზოგიერთი ძველი წყაროს ცნობით, სწორედ კოლხეთის ნაპირებთან არსებობდა კუნძული აია, სადაც გრძნეული ქალღმერთი კირკე (მედეას მამიდა, კოლხეთის მეფე აიეტის და) ცხოვრობდა.

კუნძულიდან ჩრდილოეთის გაყოლებაზე, ხმელეთზე, Dioscurias, que et Sebastopolis-ია (სოხუმი), კიდევ უფრო ჩრდილოეთით კი, Pityus, Imperi Romani terminus, Arr (ბიჭვინთა). კუნძულიდან სამხრეთით, ხმელეთზე აღნიშნულია: Aea (აია), Phasis (ფაზისი), Sebastopolis (სავარაუდოდ, ციხისძირი), Apsarus, et Absyrtus (გონიო).

რუკაზე მრავლად არის დატანილი მდინარეების ქსელი. შესაძლებელია არაერთი მდინარის იდენტიფიცირება: Apsorus flu (ჭოროხი), Bathis flu (ყოროლისწყალი), Acinasis flu (კინტრიში), Isis flu (ნატანები), Magrus flu (სუფსა), Chobus flu (ენგური, ან ხობი), Singames flu (ტეხური), Hippius flu (ცხენისწყალი), Cyaneus flu (ჭანისწყალი), Corax (კოდორი) და სხვ.

Abraham Ortelius (1527-1598)

Pontus Evxinvs

Antwerpen. 1590/1620

66x57

The remarkable map of the Black Sea by Abraham Ortelius was printed in 1590 Antwerp for the first time and since has been reprinted several times throughout the XVII century by the Dutch cartographers and publishers.

This map by Ortelius, jut like other maps of this era, was created on the basis of Ptolemy's Geography.

The key focus of the map is directed towards the Black Sea, which is indicated by one of its old Greek names – Pontus Euxinus (the Hospitable Sea). The center of the map indicates another older Greek name of the sea – Axenus (unhospitable).

Considering that the core focus of the map is the Black Sea, the map depicts surrounding countries/kingdoms only partially, mostly emphasizing their shores.

The part that shows Georgia, depicts the Eastern shore of the Black Sea – Kolkheti (Colchis) and stretches in the direction of North-East and South-West.

The map of Ortelius, in the North-East of the Black Sea, indicates the settlement of Kolkhetian tribe Heniochi. Towards the East from the Heniochi there is indication – Suani (Svans). As for the South-West of the map, here is another Kolkhetian tribe – Macrones, and further Eastward – Moschici montes (Meskhetian mountains).

Abraham Ortelius is one of the first cartographers, who used the name PHASIANVM MARE (Phasis Sea) for the part of the Black Sea on the shores of Kolkheti, which was its local name. It may be important evidence of developed naval culture in the region.

Towards North-West from Kolkheti, one more local name of the Black Sea is indicated – CAVCASEVM MARE (Caucasus Sea).

Apart from the “Phasis Sea”, there are other interesting indications on the shores of Kolkheti – the mythical island of Aee ins (Aya). Some of the old sources indicate that there was an island Aya on the shores of Kolkheti, where a sorceress goddess Kirke (aunt of Medea, sister of Kolkhetian king Aeetes) lived.

From the island, across the Northern stretch, there is indication – Dioscurias, que et Sebastopolis (Sokhumi), farther up north there is Pityus, Imperi Romani terminus, Arr (Bichvinta). Southwards from the island, the map indicates Aea (Aya), Phasis, Sebastopolis (likely, Tsikhisdziri), Apsarus et Absyrtus (Gonio).

The map richly describes the river network, where many of contemporary rivers are identifiable: Apsorus flu (Chorokhi), Bathis flu (Korolistskali), Acinasis flu (Kintrishi), Isis flu (Natanebi), Magrus flu (Supsa), Chobus flu (Enguri or Khobi), Singames flu (Tekhuri), Hippius flu (Tskhenistskali), Cyaneus flu (Chanistskali), Corax (Kodori) and others.



მათიას ქუადი (1557-1613)

ევროპა

კელნი. 1592 წ.

37x25

მათიას ქუადის ევროპის რუკის ამ გერმანულენოვან გამოცემაზე, რომელიც გამოცემის მერე გაფერადდა, მთავარი ფოკუსი მიმართულია ევროპის კონტინენტისკენ და მიუხედავად რუკის მცირე ზომისა, დეტალურად არის წარმოდგენილი კარტოგრაფის თვალთ დანახული ევროპა.

PONTVS EVXINVS (შავი ზღვის) აღმოსავლეთ სანაპიროზე წარმოდგენილია საქართველოს ქალაქები და ციხეები: Gonca (გონიო), Zonati (ბათუმი), Fasso (ფაზისი), Zauatopoli (სოხუმი) და Goro (სავარაუდოდ, გაგრა). გონიოს ქვემოთ დატანილია წარწერა "QUIXA", რაც, შესაძლოა, გურიას აღნიშნავდეს. რუკაზე არ არის აღნიშნული თბილისი და საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე სხვა ქალაქები, თუმცა, კარგად იკითხება წარწერა - „GEORGIANI“, რაც საქართველოს, ქართველების ქვეყანას აღნიშნავს.

Matthias Quad (1557-1613)

Evropa

Cologne. 1592 წ.

37x25

This German publication of the Europe's map by Matthias Quad, colored after publication, focuses mainly on European continent and despite the small size of the map, provides detailed depictions of the Europe, seen through the eyes of the cartographer.

The Eastern shore of PONTVS EVXINVS (Black Sea) depicts Gonca (Gonio), Zonati (Batumi), Phasis, Zauatopoli (Sokhumi) and Goro (likely, Gagra). QUIXA is indicated below Gonio, which, likely, indicates Guria. The map does not indicate Tbilisi, nor other cities of Eastern Georgia, however, the indication "GEORGIANI" is prominent, indicating Georgia, or the country of Georgians.



EUROPA

Scala miliarum Germanicorum

- a Scotia
- b Anglia
- c Irlandia
- d Hispania
- e Gallia
- f Italia
- g Germania
- h Dania
- i Moscovia
- k Finlandia
- l Noruegia
- m Vinnarchia

- o Sicilia
- p Sardinia
- q Corsica
- r Calabria
- s Apulia
- t Sicilia
- u Sicilia
- v Sicilia
- w Sicilia
- x Sicilia
- y Sicilia
- z Sicilia

**აბრაჰამ ორტელიუსი (1527-1598),
ბალთაზარ მორეტუსი (1574-1641)**

ისტორიის შუქი აღმოსავლეთში
ანტვერპენი. 1595/1624 წ.
62x52

რუკაზე, ერთდროულადაა წარმოდგენილი ძველი ბიბლიური და აბრაჰამ ორტელიუსის თანამედროვე სამყარო. 1624 წლის გამოცემა, რომელიც ბალთაზარ მორეტუსმა პარერგონის ატლასში შეიტანა, ამ რუკის საუკეთესო გამოცემად მიიჩნევა.

რუკის ძირითადი ფოკუსი ბიბლიურ თემატიკას ეთმობა: დეტალურადაა წარმოდგენილი იერუსალიმი, ძველი ეგვიპტე, შუამდინარეთი და სხვა ადგილები. მთავარ რუკას თან ახლავს ჩარჩოში ჩასმული ორი პატარა რუკა. ერთზე იერუსალიმი და მიმდებარე ტერიტორიებია, ხოლო მეორეზე - რუკის გამოცემის დროისათვის ცნობილი მსოფლიო. მათ შორის, ქრისტეფორე კოლუმბთან დაკავშირებული აღმოჩენები.

ცნობები საქართველოს შესახებ დატანილია რუკის ცენტრში, PONTVS EVXINVS & AXENUS (სტუმართმოყვარე და არასტუმართმოყვარე ზღვა) ანუ იგივე შავი ზღვის და MARE CASPIVM-ს (კასპიის ზღვა) შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. საქართველოს ნაპირებთან შავი ზღვის აღსანიშნავად გამოყენებულია წარწერა „Phasianum Mare” (ფაზისის ზღვა). ძველი კოლხეთის ნაპირებთან შავი ზღვის ამ სახელწოდებას ორტელიუსის კიდევ ერთ, 1590 წლის „PONTVS EUXINVS“-ის (სტუმართმოყვარე ზღვა) რუკაზეც ვხვდებით. ორ სხვადასხვა რუკაზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროსთან, იქ, სადაც კოლხეთი იყო, შავი ზღვის აღსანიშნავად ფაზისის ზღვის გამოყენება, კოლხების ცხოვრებაში ზღვის განსაკუთრებული მნიშვნელობის დამასტურებელ ცნობად შეიძლება მივიჩნიოთ.

რუკაზე კარგად იკითხება COLCHIS (კოლხეთი) და IBERIA (იბერია). ორჯერ არის აღნიშნული ფაზისი. ერთ შემთხვევაში წარწერა Phasis ქალაქის აღსანიშნავად არის გამოყენებული, ხოლო, მეორე შემთხვევაში - Phasis flu - თანამედროვე მდინარე რიონია. საქართველოს მდინარეებიდან რუკაზე კიდევ ერთი მდინარე - Aragvi flu (არაგვი) არის დატანილი, რომელიც იბერიის სამეფოს უმნიშვნელოვანესი მდინარე იყო.

იმის გათვალისწინებით, რომ ორტელიუსის ეს ნამუშევარი, ძველი ბიბლიური და XVI საუკუნის ბოლოს სამყაროს ერთგვარი ნაზავია, რუკაზე ვხვდებით წარწერას - GEORGIANI, ანუ, ქართველები.

შესაძლოა რუკაზე საქართველოსთან იყოს დაკავშირებული კიდევ ერთი აღნიშვნა. კერძოდ, თანამედროვე ისრაელის ადგილას, ვხვდებით წარწერას GEORGIA, რაც, შესაძლოა, იქ არსებულ ქართულ ეკლესია-მონასტერს აღნიშნავდეს.

რუკას განსაკუთრებულ მნიშვნელობას მატებს ლათინური აღფაბეტის მიხედვით შედგენილი მცირე ლექსიკონი, რომელიც ტექსტის სახით სამი მხრიდან ერტყმის. ასო-ბგერა „I” - “IBERI”-ით (იბერია) იწყება და აღნიშნულია, რომ იბერიელები, ანუ ქართველები, არიან შავ და კასპიის ზღვებს შორის მოსახლე ხალხი.

**Abraham Ortelius (1527-1598),
Balthasar Moretus (1574-1641)**

Lumen Historiarum per Orientem
Antwerpen. 1595/1624
62x52

The map brings together the imagined old Biblical world and the contemporary knowledge by Abraham Ortelius. The 1624 publication, included in the Parergon atlas by Balthasar Moretus, is considered the best edition of this map.

The core focus of the map is dedicated to the biblical themes: Jerusalem is depicted in detail, as well as old Egypt, Mesopotamia, and other locations. The main map includes two smaller framed maps, of which one depicts Jerusalem and its surroundings and the other – the contemporary version of the world, including the discoveries – including those of Christopher Columbus.

The information about Georgia is indicated in the center of the map – PONTVS EVXSINVS & AXENUS (hospitable and unhospitable sea) – referring to the territory between the Black Sea and MARE CASPIVM (Caspian Sea). The Black Sea at the shores of Georgia indicates “Phasianum Mare” (Phasis Sea). This name of the Black Sea at the shores of old Kolkheti/Colchis is indicated on one more map by Ortelius – the PONTVS EUXINVS (hospitable sea) published in 1590. Usage of the name “Phasis Sea” for the Black Sea at the shores of Kolkheti/Colchis indicates a special role of the sea in the life of the Kolkhetian/Colchis people.

The map reads COLCHIS and IBERIA, with Phasis indicated twice. In one case, Phasis indicates the city, in another case – Phasis flu – indicates the river Rioni. One more Georgian river – Aragvi flu is included in the map as well, which had an important role for the kingdom of Iberia.

Considering that this work of Ortelius is a combination of the old biblical sources and the information from the late XVI century, the map indicates the word GEORGIANI, meaning – Georgians.

It is possible that another indication on the map may be related to Georgia. Specifically, on the territory of contemporary Israel, there is indication GEORGIA, which, possibly, could indicate the Georgian church-monastery located there.

A short vocabulary, made with Latin alphabet, is the distinguishing feature of the map. The vocabulary frames the text from the three sides. The letter “I” is marked with the word “IBERI” (Iberia) and it is indicated that Iberians (or Georgians) are the people living between the Black and the Caspian seas.

LOCA ORIENTIS
IN
BIBLIIS SACRIS
MARTYROLOGIO
ALIISQ. HISTORIIS
OCCURRENTIA;
Geographicè, simul & ordine
Alphabetico designata.

A.

A Diabene, *Sarta*, Assyria regio ultra Tigridem fl. sub imp. Perfarum.

Egyptus, *Egitto*, & incolis *Sabid*, Africa nobilitas & nota regio.

Albana, *Bachus*, in ora Maris Caspii, Albanie metropolis, ubi creditur D. Bartholomaeus Apost. passus.

Alexandria, (nempe primaria illa) c. Patriarchalis Aegypti, non longè ab ostiis Nili in Occidentali litore. Reliquae eius nominis obferuntur, si placent, in Tabula.

Amasia, *Amasie*, c. & regio nobilis Asiae minoris, etiamnum praefecti Turcarum sedes.

Antiochia, magna & primaria, *Cachia* Turcicè, c. Syriae, quondam amplissima ad Orontem fl. inter *Aleppum*, olim Hieropolim, & Tripolim.

B.

Babylon, *Bagdet*, c. Assyriae quondam maxima ad vltiorè Euphratis ripam, latè per 30. mill. ruinas etiamnum ostentans, iuxta quas noua Bagdet cernitur.

Beritus, *Baruti*, c. Syriae seu Phoeniciae marit. inter Biblum & Sidonem.

C.

Caesarea, primaria, seu Palaestinae, *Chazzar*, c. olim celeberrima ad mare Mediterr. nunc piratarum domicilium.

Caesarea Cappadociae, quae & *Maazaca*, & *Casaria*, S. Basilij olim sedes. Alias Caesareae obferua in Tabula.

Calamina, *Malipus*, c. Indiae citioris in ora littorali, S. Thomae corpore gloriosa, à Lusitanis instaurata.

Constantinopolis, Turcis *Stamboli*, olim Byzantium, vrbs nota, Turcarum Regia.

Cyzicus, *Chyzico* & *Spiga*, c. Asiae antiqua inter Hellepontum & Propontidem.

D.

Diospolis, c. Aegypti, quae & Thebae, regionis Thebaidis quondam caput.

E.

Ecbatana, *Tauris*, c. Mediae; Regia quondam Perfarum infra mare spium.



Emeſa, *Emſ*, c. Episc. Syriae, inter Hieropolim & Damascum.

Fama Augusta, *Famagoſta*, c. Cypri littoralis ad Ortum iuxta Salaminam.

Gangra, *Cangeri*, olim c. Episc. Asiae minoris, nunc velut pagus.

Heliopolis, *Balbec*, c. Syriae inter Laodicæam & Damascum.

Hus, regio in confinio Arabiae.

Iberi, *Giorgiani*, populi inter & supra mare Euxinum & Caspium.

Iconium, *Cogni*, c. Asiae, Lycaoniae Metropolis, etiamnum frequens habitatoribus Christianis.

Isauria, regio Asiae min. vbi Isaura, Lystra, Derbe, & aliae ciuitates.

Laura, *S. Saba*, locus monasticus in Palaestina olim celebris, non longè ab Asphaltide.

M. Mesopotamia, *Diarbeck*, regio Asiae, Euphrate & Tigridem fl. intercepta.

N. Azianzum, c. fuit Episc. Asiae minoris inter Seleuciam Pifidiae & Caesarem Cappadociae, S. Gregorio Theol. clara.

Neocaesarea, *Tocato*, c. Cappad. in Ponto inter Amasiam Metropolim & Nicopolim Armeniae.

Nicaea, *Isnich*, c. Archiepisc. Asiae non longè à Proponthide, ex praecipuis carnificinis Martyrum: nunc ibi rudera & siluae.

Nicomedia, *Comidia*, c. Asiae olim non longè à Proponthide, ex praecipuis carnificinis Martyrum: nunc ibi rudera & siluae.

Nyria, locus Aegypti apud Meridid lacum, ab Alexandria in Austrum ad 40. mill. vbi etiamnum Monachi.

Paphos, *Baffo*, in ora occidua Cypri olim clarissima.

Paros, *Pario*, inf. maris Aegaei inter primas ad Meridiam, vnde Parium marmor.

Patara, *Patara*, c. Lyciae littoralis in Asia, S. Nicolai patria.

Pelusium, c. Aegypti ad ostia Nili. Haec *Damiata* putatur, nisi forte Pelusium olim proximum fuerit Damiatae.

Phoenicia, Syriae regio maritima. vrbes in ea Tyrus, Sidon, Tripolis, &c. & mediterr. vsque Caesarem Philippum.

Prolemais, quae & *Acon*, c. marit. Palaestinae, nunc *Acra* & *Acone*.

Samosata, c. Archiepisc. quondam Syriae ad Euphratem, non longè ab Edessa.

Scetis, mons & solitudo Aegypti, non longè ab Alexandria.

Tomi, c. ad os Meridionale Ponti Euxini.

Tyris, *Syr*, c. Asiae, Carthaginiis olim parens, nunc vtraque iacet.



იოჰანეს იანსონიუსი (1588-1664), ნიკოლას ბლანკაარტი (დაახლ. 1624-1703)
ძველი აზია, აფრიკის და აზიის შემოზღობილი რეგიონებით
ამსტერდამი. 1652 წ.
70x56

რუკაზე დატანილი ინფორმაცია მოიცავს, როგორც საკუთრივ აზიის კონტინენტს, ისე ევროპის აღმოსავლეთ ნაწილს და აფრიკის კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს.

რუკაზე წარმოდგენილია ცნობები ძველი აზიის შესახებ. შესაბამისად, იანსონიუსის და ბლანკაარტის რუკაზე არ ვხვდებით მათი მოდერნიზაციის ეპოქის შესაბამის ცნობებს.

საქართველოს შესახებ რუკაზე ორი მნიშვნელოვანი აღნიშვნაა. პირველი საკუთრივ უძველეს ქართულ სახელმწიფოებს, კოლხეთსა და იბერიას უკავშირდება, ხოლო მეორე, შავი ზღვის ერთ-ერთ სახელწოდებას.
რუკაზე შავი ზღვის მთავარი სახელწოდების: PONTUS EUXINUS (სტუმართმოყვარე ზღვა) გვერდით, ზღვის არაერთი სახელია დატანილი. მათ შორის არის ზღვის საქართველოსთან დაკავშირებული სახელწოდება - Colchicum (კოლხეთი ზღვა), რასაც მოსდევს Caucaseum (კავკასიის ზღვა). კოლხეთის და კავკასიის ზღვების აღსანიშნავად რუკაზე წყაროდ მითითებულია სტრაბონი და აპოლონიოსი (სავარაუდოდ, კარტოგრაფი აქ აპოლონიოს როდოსელს უნდა გულისხმობდეს).

შავ და კასპიის ზღვებს შორის მოქცეულია COLCHIS (კოლხეთი) და IBERIA (იბერია). კოლხეთის შემთხვევაში რუკაზე შეაძლებელია: Apssoru (გონიო), Phasis (ფაზისი), Aeapolis (აია) და Dioscurias quce Sebastopolis (სოხუმი) იდენტიფიცირება.
მდინარეებიდან - მდინარე რიონის (Phasis fl.), რომლის დინებაც შეცდომით, სამხრეთიდან ჩრდილო-დასავლეთისკენ არის მიმართული.

იბერიის შემთხვევაში რუკაზე იკითხება: Artanisa (არტანუჯი), Sura (სავარაუდოდ, სურამი) და Armactica (არმაზი). ასევე, მდინარე Cyrus fl (მტკვარი) თუმცა, იმის გამო, რომ მდინარე მტკვრის დინება, შეცდომით, ჩრდილოეთიდან სამხრეთ აღმოსავლეთის მიმართულებით არის ნაჩვენები, არტანუჯის და სურამის მდებარეობა შეუსაბამოდ გამოიყურება.

იბერიას ჩრდილოეთიდან საზღვრავს Caucasus mons (კავკასიონის მთათა სისტემა), სადაც შესაძლებელია მთავრებილებში ჩახატული კარის, იგივე დარიალის გასასვლელის, ამოცნობა.

Johannes Janssonius (1588-1664), Nicolaus Blankaart (approx. 1624-1703)
Asia Antiqua cum finitimis Africae et Europae Regionibus
Amsterdam. 1652
70x56

The information, indicated on the map includes the continent of Asia, as well as the Eastern part of Europe and the North-Eastern part of African continent.

The map indicates information about old Asia. Therefore, the maps of Janssonius and Blankaart do not provide information from their contemporaries.

The map of Georgia includes two important indications. First one depicts old Georgian kingdoms, Kolkheti/Colchis and Iberia, while the other includes one of the names of the Black Sea - PONTUS EUXINUS (hospitable sea). Another name of the sea is connected to Georgia – Colchicum (Colchis sea) followed by Caucaseum (Caucasus sea). The indications of Colchis and Caucasus seas are traced back to Strabo and Apollonius (most likely, cartographer meant to indicate Apollonius Rhodes).

COLCHIS (Kolkheti) and IBERIA are sandwiched between the Black and the Caspian seas. In case of Colchis, the map includes Abssoru (Gonio), Phasis, Aeapolis (Aya) and Dioscurias quce Sebastopolis (Sokhumi). Phasis fl. (Rioni) is indicated as well, however, its flow is marked incorrectly - from South towards North-West.

In case of Iberia, the map includes Artanisa (Artanuji), Sura (likely, Surami) and Armactica (Armazi). Also, the map includes Cyrus fl. (Mtkvari). However, due to incorrect indication of the flow of the river, the locations of Artanuji and Surami look misplaced.

From the North, Iberia is bordered by Caucasus mons (Caucasus Mountain range), where the door is drawn in the mountain turns – or Dariali pass.

ASIA ANTIQUA
cum finitimis Africae et
Europae Regionibus.
NICOLAUS BLANCARDUS
Belga, Leidenfis, ad lucem
ævi veteris delineabat.



Nobilissimo Amplissimoque Viro
D. GERARDO SCHAEPI
Cortenhoevis domino, ex legato ad serenissimos Danicæ
Suevicque Reges, magnificoque reip. Amstelæ-
damensibus consuli, etc.
NICOLAUS BLANCARDUS DEDICABAT.
L. M. Q.



ფრედერიკ დე ვიტი (დაახ.1629-1706)

ევროპის ახალი და სრული აღწერა

ამსტერდამი. 1680

65x55

რუკის მთავარი ფოკუსი მიმართულია ევროპის კონტინენტზე. ტრადიციულად, ფრედერიკ დე ვიტის სხვა რუკების მსგავსად, ევროპის რუკაც უხვად არის გაფორმებული: ანგელოზები, ზევსის მიერ ევროპეს მოტაცების სცენა, ურჩხული და გემები.

